ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 152408612**

თარიღი:**26/03/2024**

ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:N05.32.03.777; N05.32.14.008) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ$^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს ,,სქაი ქონსთრაქშენს“ (ს/N405643594), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 14 მარტის N 01-01-10/2674 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

4. განემარტოს შპს ,,სქაი ქონსთრაქშენს“ (ს/N405643594), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის მეორე ეტაპზე წარმოადგინოს (ს/კ: N05.32.03.777; N05.32.14.008; N05.32.14.216; N05.32.03.972) მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

5. დეტალური გეგმის არეალში არსებული მიწის ნაკვეთებზე უკვე გაცემულ (შეთანხმებულ) მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში, მშენებლობის განხორციელების პროექტში ან/და გაცემულ მშენებლობის ნებართვაში (როცა მსგავსი ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული) ცვლილების შეტანა და ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება განხორციელდეს მსგავსი სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების შესაბამისად.

6. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი